სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება
№მ36-04.19

ქ. თბილისი **30 აპრილი 2019 წელი**

ერთის მხრივ, **ა(ა)იპ „თბილისის მუნიციპალური თავშესაფარი“** (შემდგომში "დამზღვევი") წარმოდგენილი მისი დირექტორის გოჩა მინდიაშვილის სახით და მეორეს მხრივ, **ს.ს. „სადაზღვევო კომპანია ალფა“** (შემდგომში "მზღვეველი") წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის კახაბერ დიასამიძის სახით "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის საფუძველზე, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. **ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ** (შემდგომ _ "ხელშეკრულება") _ დამზღვევსა და მზღვეველს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები;

1.2. **ხელშეკრულების ღირებულება** - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს დამზღვევმა მზღვეველის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3. **დამზღვევი/შემსყიდველი** - ა(ა)იპ „თბილისის მუნიციპალური თავშესაფარი“, რომელიც დებს წინამდებარე ხელშეკრულებას მზღვეველთან და იხდის შესაბამის სადაზღვეო პრემიას;

1.4. **მზღვეველი/მიმწოდებელი** - სს „სადაზღვევო კომპანია ალფა“, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისაად ეწევა სადაზღვევო საქმიანობას;

1.5. **მოსარგებლე** - პირი, რომელიც წინამდებარე პირობებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად უფლებამოსილია, მიიღოს სადაზღვევო ანაზღაურება;

1.6. **სადაზღვევო შემთხვევა** - მოულოდნელი მოვლენა, რომლის დადგომის შედეგად წარმოიშობა მზღვეველის ვალდებულება, გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება წინამდებარე პირობების შესაბამისად;

1.7. **სადაზღვევო თანხა** - თანხა, რომლის ფარგლებშიც გაიცემა სადაზღვევო ანაზღაურება. სადაზღვევო თანხის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს დაზღვევის ობიექტის აღდგენით და/ან შენაცვლებით ღირებულებას; თითოეული დაზღვევის ობიექტის სადაზღვევო თანხა აღნიშნული იქნება შესაბამის სადაზღვევო პოლისში, რომელზედაც გავრცელდება წინამდებარე პირობები;

1.8. **სადაზღვევო ანაზღაურება** - თანხა, რომელიც სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას გაიცემა მზღვეველის მიერ მოსარგებლის სახელზე;

1.9. **სადაზღვევო პრემია** - თანხა, რომელიც მითითებულია შესაბამის სადაზღვევო პოლისში მისი გადახდის პირობებთან და ვადებთან ერთად და რომელიც წარმოადგენს წინამდებარე პირობებითა და შესაბამისი სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებული დაზღვევის საფასურს;

1.10. **ფრანშიზა** - შესაბამის სადაზღვევო პოლისში მითითებული არაანაზღაურებადი მინიმუმი, რომელზეც მზღვეველი არ არის პასუხისმგებელი;

1.11. **სადაზღვევო პერიოდი (დაზღვევის მოქმედების ვადა)** - კონკრეტულ სადაზღვევო პოლისში მითითებული პერიოდი, რომლის განმავლობაშიც დაზღვევა ძალაშია და რომლის დროსაც დამდგარი შემთხვევები ექვემდებარება ანაზღაურებას.;

1.12. **სადაზღვევო პოლისი** - დაზღვევის ხელშეკრულების საფუძველზე განხორციელებული დაზღვევის დამადასტურებელი დოკუმენტი;

1.13. **დაზღვევის განაცხადი** - მზღვეველის მიერ დადგენილი ფორმით დამზღვევის მიერ შესავსები კითხვარი, რომელშიც აისახება დაზღვევის განხორციელებისათვის აუცილებელი მზღვეველისათვის საინტერესო გარემოებები;

1.14. **უფლებამოსილი მძღოლი** - მართვის მოწმობის მქონე, ნებისმიერი პირ(ებ)ი, რომლის ასაკი აღემატება 21 წელს, და რომლის მიერ ავტოტრანსპორტის მართვის დროსაც დაზღვევა ძალაშია;

1.15. **დაზღვევის საგანი** - კონკრეტული ავტოტრანსპორტი, მითითებული დამზღვევის მიერ შევსებული განაცხადის საფუძველზე გაცემულ შესაბამის სადაზღვევო პოლისში და დაზღვეული ავტოტრანსპორტის ექსპლუატაციის შედეგად დამდგარი დამზღვევის სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა;

1.16. **ავტოტრანსპორტის სრული დაზიანება (განადგურება)** – სატრანსპორტო საშუალება ითვლება განადგურებულად (სრული დაზიანება), თუ ავტოტრანსპორტის აღდგენითი ღირებულება მისი საბაზრო ღირებულების 70%-ს ან მეტს შეადგენს;

1.17. **ავტოტრანსპორტის საბაზრო ღირებულება** – ფულადი თანხა, რომელიც საჭიროა ადგილობრივ ბაზარზე დაზღვეული ავტოტრანსპორტის ანალოგიური მარკის, მოდელის და სხვა მახასიათებლების მქონე ავტოტრანსპორტის შესაძენად;

1.18. **გამომუშავებული სადაზღვევო პრემია** – სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში კონკრეტული თარიღისათვის, სადაზღვევო პერიოდის დასაწყისიდან ასეთ თარიღამდე განვლილი დროის მონაკვეთის პროპორციული პრემიის ოდენობა;

1.19. **გამოუმუშავებელი სადაზღვევო პრემია** - სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში კონკრეტული თარიღისათვის, სადაზღვევო პერიოდის ამოწურვამდე დარჩენილი დროის მონაკვეთის პროპორციული პრემიის ოდენობა;

1.20. **დღე, კვირა, თვე** - კალენდარული დღე, კვირა, თვე;

1.21. **საბაზრო ღირებულება** - ღირებულება, რომელიც ყალიბდება ბაზარზე იდენტური (ხოლო მისი არარსებობის შემთხვევაში – მსგავსი) ქონების მოთხოვნისა და მიწოდების ურთიერთზე მოქმედების შედეგად და შესაბამის ბაზარზე დადებული გარიგების საფუძველზე;

1.22. **ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა** - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლებით განსაზღვრული ქმედებები.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ხელშეკრულების 2.2. პუნქტით გათვალისწინებული ა(ა)იპ თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის ბალანსზე რიცხული ავტომანქანების სადაზღვეო მომსახურების (CPV66514110) შესყიდვა;

2.2. ავტომანქანების რაოდენობა და მახასიათებლები მოცემულია წინამდებარე ხელშეკრულების დანართი N1-ში, რომელიც ახლავს ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის ჩათვლით შეადგენს 219.65 (ორას ცხრამეტი ლარი და 65 თეთრი) ლარს;

3.2. მხარეები ანგარიშსწორებას ახორციელოებენ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებზე უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით;

3.3. ანგარიშსწორების საფუძველია მზღვეველის მიერ წარმოდგენილი ინვოისი, რომელიც წარმოდგენილ უნდა იქნეს დაზღვევის დაწყებიდან ყოველი საანგარიშო თვის ბოლოს, არაუგვიანეს მომდევნო თვის 5 (ხუთი) რიცხვამდე.

3.4. ანგარიშსწორება განხორციელდება ერთჯერადად, ინვოისის წარმოდგენიდან 10 (ათი) საბანკო დღეში.

4. ხელშეკრულების ძირითადი პირობები

4.1. წინამდებარე ხელშეკრულება ითვალისწინებს 2.2. პუნქტით გათვალისწინებული ავტომანქანების დაზღვევას შემდეგი სადაზღვევო რისკებისაგან:

4.1.1 დაზღვეული ავტომანქანის ფიზიკური დაზიანება, ავტომანქანებისათვის გარეგანი ზემოქმედებით მიყენებული ნებისმიერი დაზიანება, საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა, ავტომანქანის ფიზიკური დაზიანება გარეშე საგნების დაცემით, ხანძარი, აფეთქება, თვითაალება, გატაცება, ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა, ვანდალიზმი და აღნიშნული დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის მცდელობა (ფრანშიზა 0%).

4.1.2 სხვადასხვა სახის მართლსაწინააღმდეგო ქმედება ან/და მცდელობა, სხვადასხვა საგნების ვარდნა (ფრანშიზა 0%).

4.1.3 სტიქიური მოვლენები, მათ შორის: მეხის დაცემა, მიწისძვრა, წყალდიდობა, შტორმი, ქარიშხალი, სეტყვა, მეწყერი/ქვების ვარდნა, ზვავი, თოვლი, წვიმა (ფრანშიზა 0%).

4.1.4 წყლისგან დაზიანება (ფრანშიზა 0%).

4.1.5 თითოეულ ავტომანქანაზე დამატებითი აქსესუარების: მინების, სარკეების, აქსესუარებისა და სხვა დეტალების დაზიანება ან/და ქურდობა (ფრანშიზა 0%).

4.1.6 გარეგანი დაზიანების შედეგად გამოწვეული შიდა მექანიზმების დაზიანება (ფრანშიზა 0%).

4.1.7 მესამე პირის (პირთა) წინაშე წარმოქმნილი პასუხისმგებლობის დაზღვევა - დაზღვეული ავტოტრანსპორტოს უფლებამოსილი მძღოლის მიერ ექსპლუატაციისას მესამე პირის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და/ან ქონებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების პასუხისმგებლობის დადგომა - ლიმიტი 26627 (ოცდაექვსი ათას ექვსას ოცდაშვიდი) ლარი თითოეულ ავტომობილზე (ფრანშიზა 0%).

4.1.8. დაზღვეულ ავტოსატრანსპორტო საშუალებაში მძღოლისა და მგზავრების უბედური შემთხვევისაგან დაზღვევა, ლიმიტი თითოეულ ავტომობილზე 26627 (ოცდაექვსი ათას ექვსას ოცდაშვიდი) ლარი, ლიმიტი ერთ პირზე 5325.40 (ხუთი ათას სამას ოცდახუთი ლარი და 40 თეთრი) ლარი (ფრანშიზა 0%).

4.2. დაზღვევა მოიცავს უფასო ევაკუატორით მომსახურებას;

4.3. დაზღვევა მოიცავს 24 საათიან მომსახურებას (ასისტანსს);

4.4. დაზღვევის არეალია საქართველო, სომხეთი, თურქეთი, აზერბაიჯანი.

4.5. სრული დაზიანების შემთხვევაში მზღვეველმა უნდა აანაზღაუროს დაზღვეული ავტომობილის საბაზრო ღირებულების შესაბამისი თანხა ან მოახდინოს ანალოგიური ავტომობილით ჩანაცვლება;

4.6. ნაწილობრივი ზარალის შემთხვევაში სერვისცენტრების შერჩევა მოხდება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

4.7. სადაზღვევო ანაზრაურების გაიცემა ცვეთის გათვალისწინების გარეშე.

4.8. ავტოტრანსპორტის სრულ დაზიანებად (განადგურება) ჩაითვლება ზიანი, რომლის დროსაც აღდგენითი შეკეთების ღირებულება შეადგენს მისი საბაზრო ღირებულების 70%-ს ან მეტს, ან განადგურებულია ავტომანქანის 70%-ზე მეტი;

4.9. სადაზღვევო შემთხვევის არსებობისას ზიანის ანაზღაურების ვადა (ზიანის ანაზღაურებისათვის საჭირო დოკუმენტაციის სრულყოფილად არსებობის შემთხვევაში) არ უნდა აღემატებოდეს 10 (ათი) სამუშაო დღეს.

4.8. უფლებამოსილ მძღოლად განისაზღვრება - მართვის მოწმობის მქონე ნებისმიერი პირ(ებ)ი, რომლის ასაკი აღემატება 21 წელს, და რომლის მიერ ავტოტრანსპორტის მართვის დროსაც დაზღვევა ძალაშია;

4.9. სადაზღვევო ანაზღაურების გაცემით მზღვეველი თავისუფლდება დამზღვევის წინაშე მასზე დაკისრებული ვალდებულებისაგან გადახდილი თანხის ფარგლებში.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობები

5.1. დამზღვევი ვალდებულია:

5.1.1. განუხრელად დაიცვას წინამდებარე პირობებითა და შესაბამისი სადაზღვევო პოლისით დადგენილი პირობები და ნაკისრი მოვალეობები;

5.1.2. უზრუნველყოს მზღვეველი სადაზღვეო ხელშეკრულების დასადებად აუცილებელი ინფორმაციით;

5.1.3. დროულად და სრულად გადაიხადოს სადაზღვეო პრემია;

5.1.4. დაზღვევის ხელშეკრულების დასადებად და კონკრეტული დაზღვევის განსახორციელებლად წარმოდგენილ მონაცემებში ნებისმიერი ცვლილების შემთხვევაში (მაგ., ავტოტრანსპორტის გასხვისება, სადაზღვევო რისკის ხარისხის გაზრდა, უფლებამოსილი მძღოლის შეცვლა-დამატება, ავტომანქანის გასაღების ან სიგნალიზაციის პულტის დაკარგვა და ა.შ.) შეატყობინოს ამის შესახებ მზღვეველს წერილობითი ფორმით, არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა, ასეთი ცვლილების წარმოშობის შეტყობის მომენტიდან;

5.1.5. სადაზღვეო შემთხვევის დადგომიდან არაუგვიანეს 24 საათისა აცნობოს ამის შესახებ მზღვეველის ქოლ ცენტრს სადაზღვეო პოლისში მითითებულ ნომერზე, ხოლო 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში წერილობითი ფორმით გაუგზავნოს მზღვეველს შეტყობინება სადაზღვეო შემთხვევის შესახებ შემდეგი დოკუმენტებით:

ა. განცხადება სადაზღვევო შემთხვევის შესახებ;

ბ. სადაზღვევო პოლისის ასლი;

გ. საპატრულო პოლიციის ოქმის შესაბამისად დამოწმებული ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

დ. საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის სქემა (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ე. მძღოლების ახსნა-განმარტებები (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ვ. შეტყობინება დაზარალებული მესამე პირის (პირების) მიერ პრეტენზიის წაყენების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ზ. მძღოლის მართვის მოწმობის ასლი;

თ. ავტოტრანსპორტის სარეგისტრაციო (ტექპასპორტის) მოწმობის ასლი;

ი. მძღოლის სიფხიზლის შესახებ ცნობა (იმ შემთხვევაში თუ საპატრულო ოქმში არ იქნა დაფიქსირებული);

კ. თუ სადაზღვევო შემთხვევის დადგომა გამოწვეულია მესამე პირის ქმედებით, მზღვეველს უნდა წარმოუდგინოს ასეთი მესამე პირის შესახებ ინფორმაცია, კერძოდ: სახელი, გვარი, მისამართი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, თუ აღნიშნული ინფრომაცია დამზღვევის მხარისათვის ხელმისაწვდომია;

ლ. დოკუმენტები სამედიცინო დაწესებულებიდან, რომელთაც დაზარალებულთა ჯანმრთელობის მდგომარეობაზე კომპეტენტური ექსპერტიზის ჩატარებისა და შესაბამისი ცნობის გაკეთების უფლება აქვთ (საავადმყოფო ფურცლის ასლი, ცნობა მკურნალობის შესახებ, საექსპერტო კომისიის დასკვნა და სხვა);

5.1.6. მიიღოს ობიექტურად შესაძლო ყველა ზომა დაზღვევის საგნის გადასარჩენად და ზიანის მოცულობის მაქსიმალურად შესამცირებლად;

5.1.7. მზღვეველის წარმომადგენლის მისვლამდე უზრუნველყოს სადაზღვევო შემთხვევის ადგილზე არსებული მდგომარეობის შენარჩუნება ობიექტური შესაძლებლობისა და მოქალაქეობრივი უფლებამოსილების ფარგლებში;

5.1.8. გაუწიოს მზღვეველს სათანადო დახმარება, ხელი შეუწყოს, მიიღოს მონაწილეობა სადაზღვევო შემთხვევის გამომწვევი მიზეზების, მისი დადგომის გარემოებების, შედეგებისა და მიყენებული ზიანის სიდიდის სრულ და ობიექტურ გამოკვლევაში, დადგენასა და შეფასებაში და არ იმოქმედოს მზღვეველის ინტერესების საწინააღმდეგოდ;

5.1.9. შეატყობინოს მზღვეველს სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებით მის მიერ მიღებული ნებისმიერი უწყების, შეტყობინების ან გზავნილის შესახებ;

5.1.10. საკუთარი უფლებამოსილებისა და შესაძლებლობის ფარგლებში ხელი შეუწყოს მზღვეველს მის მიერ სუბროგაციის უფლების განხორციელებაში;

5.1.11. აცნობოს მზღვეველს ავტოსატრანსპორტო შემთხვევასთან დაკავშირებით მის წინააღმდეგ აღძრული ნებისმიერი სარჩელის თაობაზე და იურიდიულ პროცედურებზე, აგრეთვე, გაცხადებულ ნებისმიერ პრეტენზიაზე;

5.1.12. ყველა ღონე იხმაროს დაზღვეული ავტოტრანსპორტის უსაფრთხოების დასაცავად;

5.1.13. მიანიჭოს სრული თავისუფლება მზღვეველს, რათა ამ უკანასკნელს მიეცეს საშუალება დამზღვევთან შეთანხმებით შეამოწმოს დაზღვეული ავტოტრანსპორტის მდგომარეობა;

5.1.14. ზედმიწევნით დაიცვას წინამდებარე პირობების ყველა დებულების მოთხოვნა და მიაწოდოს მზღვეველს ყველა საჭირო და შესაბამისი ინფორმაცია და დოკუმენტაცია, რომელიც, თავის მხრივ, წარმოადგენს სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის საფუძველს;

5.1.15. ავტოტრანსპორტის მეთვალყურეობის გარეშე დატოვების შემთხვევაში ჩაკეტოს იგი და ჩართოს სიგნალიზაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

5.1.16. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას დაუყონებლივ აცნობოს აღნიშნულის შესახებ შესაბამის სამართალდამცავ ორგანოებს;

5.1.17. იმ შემთხვევაში, თუ ავტოტრანსპორტს გააჩნია ერთზე მეტი ქარხნული გასაღები (სიგნალიზაციის პულტი), რაც მითითებული უნდა იყოს დამზღვევის განაცხადში, დამზღვევს (დაზღვეულს) ექსპლუატაციაში უნდა ჰქონდეს მხოლოდ ერთი ეგზემპლიარი, ხოლო დანარჩენი ეგზემპლიარები შეინახოს საიმედო ადგილას. წინააღმდეგ შემთხვევაში, მზღვეველი უფლებამოსილია, გატაცების რისკზე სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მოიხსნას ნაკისრი ვალდებულებები. ამასთანავე, დაზღვეული ავტოტრანსპორტის ქურდობის შემთხვევაში დამზღვევმა უნდა წარმოადგინოს დაზღვევის განაცხადში მითითებული ყველა გასაღები და სიგნალიზაციის პულტი, ხოლო ძარცვა, ყაჩაღობის შემთხვევაში – სათადარიგო გასაღებ(ებ)ი და პულტი (ასეთის მითითებისას განაცხადში), წინააღმდეგ შემთხვევაში, მზღვეველი, ასევე, იტოვებს უფლებას, მოიხსნას ნაკისრი ვალდებულებები.

5.1.18. მუდამ თან იქონიოს დაზღვეული ავტოტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობა და არავითარ შემთხვევაში არ დატოვოს იგი ავტოტრანსპორტში. წინააღმდეგ შემთხვევაში, მზღვეველს უფლება აქვს, უარი განაცხადოს სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე ქურდობის, ძარცვის და/ან ყაჩაღობის შემთხვევებში;

5.1.19. თუ დამზღვევის მიერ წინამდებარე პირობებითა და შესაბამისი სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებული დაზღვევის ინტერესი ერთდროულად რამდენიმე მზღვეველთან არის დაზღვეული, დამზღვევი ვალდებულია აღნიშნულის თაობაზე განახორციელოს მზღვეველის ინფორმირება და შესაბამის წერილობით შეტყობინებაში აღნიშნოს სხვა მზღვეველების ვინაობა და სადაზღვევო თანხის ოდენობა. ასეთ შემთხვევაში, ანუ თუ დაზღვეული ინტერესი რამდენიმე მზღვეველთან აღმოჩნდება დაზღვეული ერთი და იმავე რისკისაგან და სადაზღვევო თანხმები ჯამში საბაზრო ღირებულებას აჭარბებს, მზღვეველები დამზღვევის წინაშე ვალდებულნი არიან, როგორც სოლიდარული მოვალეები იმ თანხის ფარგლებში, რომელიც გათვალისწინებულია დამზღვევთან გაფორმებულ შესაბამის დაზღვევის ხელშეკრულებაში (სადაზღვევო

პოლისში), მაგრამ დამზღვევს არ აქვს უფლება მიიღოს ჯამში რეალურ ზიანზე მეტი თანხა.

5.2. დამზღვევი უფლებამოსილია:
5.2.1. განხორციელებული დაზღვევის დასტურად მოითხოვოს შესაბამისი სადაზღვევო პოლისი;
5.2.2. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მიიღოს სადაზღვევო ანაზღაურება წინამდებარე პირობებითა და შესაბამისი სადაზღვევო პოლისით დადგენილი წესითა და ოდენობით;
5.2.3. მოითხოვოს საკუთარი ხარჯებით ექსპერტიზის ჩატარება, თუ ის არ ეთანხმება მზღვეველის ექსპერტის დასკვნას. ამასთან მზღვეველი ვალდებულია აუნაზღაუროს ექსპერტიზის ხარჯები დამზღვევს, თუ ექსპერტიზა (მათ შორის სსიპ ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო) გაამართლებს დამზღვევის მოთხოვნას;
5.2.4. მზღვეველთან შეთანხმებით შეცვალოს პირობები;
5.2.5. მოთხოვოს მზღვეველს კანონმდებლობითა ან/და ამ პირობებით/პოლისით გათვალისწინებული ვალდებულებულებების შესრულება.
5.2.6. განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებები.

5.3. მზღვეველი ვალდებულია:
5.3.1. განხორციელებული დაზღვევის დასადასტურებლად გადასცეს დამზღვევს შესაბამისი დაზღვევის პოლისი, ამასთან, დაზღვევის განსახორციელებლად უზრუნველყოს დამზღვევი შესაბამისი განაცხადის ფორმით;
5.3.2. მიიღოს დამზღვევის განცხადება სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შესახებ განხილვისთვის;
5.3.3. შეადგინოს სადაზღვევო აქტი სადაზღვევო შემთხვევის შესახებ და განსაზღვროს სადაზღვევო ანაზღაურების თანხა;
5.3.4. განუხრელად დაიცვას და შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი უფლებამოვალეობები.

5.4. მზღვეველი უფლებამოსილია:
5.4.1. გააკონტროლოს დამზღვევის მიერ წინამდებარე პირობებისა და შესაბამისი სადაზღვევო პოლისის პირობებისა და მოთხოვნების შესრულება;
5.4.2. შეწყვიტოს დაზღვევის ხელშეკრულების (პოლისის) მოქმედება და შეწყვეტამდე 5 (ხუთი) სამუშაო დღით ადრე წერილობით შეატყობინოს დამზღვევს აღნიშნულის შესახებ იმ შემთხვევაში, თუ გამოვლინდება, რომ დამზღვევის მიერ განაცხადში მითითებული მონაცემები და გარემოებები არ შეესაბამება სინამდვილეს ან ყალბია.
5.4.3. გაგზავნოს შესაბამისი შეკითხვები კომპეტენტურ ორგანოებში დაზღვევისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებთან დაკავშირებით;
5.4.4. სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემდეგ მოითხოვოს დამზღვევისაგან წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული ყველა ის ინფორმაცია და დოკუმენტაცია, რომელსაც მზღვეველი მიიჩნევს საჭიროდ სადაზღვევო შემთხვევის ობიექტურად შეფასებისათვის;
5.4.5. სრული კონტროლი გაუწიოს დამზღვევის მიმართ მესამე პირთა პრეტენზიის მოგვარებისათვის საჭირო კანონით გათვალისწინებულ ყველა სახის პროცედურას;
5.4.6. მოახდინოს დამზღვევის დაზიანებული ავტომანქანის დათვალიერება და ფოტოგადაღებები, ასევე, მონაწილეობა მიიღოს მესამე პირის დაზიანებული ან განადგურებული ქონების დათვალიერებასა და ფოტოგადაღებებში;
5.4.7. შეადგინოს დაზიანებული სატრანსპორტო საშუალების (ასევე, მესამე პირის დაზიანებული ან განადგურებული ქონების) შეკეთების/აღდგებითი ღირებულების კალკულაცია (ხარჯთაღრიცხვა);

5.4.8. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაასაჩივროს დამზღვევის მიმართ მესამე პირის მოთხოვნის (სარჩელის) დასაბუთებულობა, სიდიდე და მისი არსებობის საფუძვლიანობა;

5.4.9. მოითხოვოს დამზღვევისგან, რათა ამ უკანასკნელმა გადასცეს მზღვეველს საკუთრების უფლება სადაზღვევო შემთხვევის გამო მზღვეველის მიერ შეცვლილ ავტოტრანსპორტის ნაწილებზე, დაზღვეული ავტომანქანის განადგურების გამო სრული სადაზღვევო თანხის გაცემისას - განადგურებულ ავტომანქანაზე, ხოლო გატაცების გამო სრული სადაზღვევო თანხის გაცემისას დაკარგული ავტომანქანის პოვნის შემთხვევაში - ნაპოვნ სატრანსპორტო საშუალებაზე. შესაბამისად, დამზღვევი იღებს ვალდებულებას შეასრულოს ყველა ის ქმედება, რომელიც აუცილებელი და გათვალისწინებულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით აღნიშნული მიზნის მისაღწევად. ამასთან, ხსენებული უფლების რეალიზაცია მზღვეველის მიერ შეიძლება განხორციელდეს ავტოტრანსპორტზე საკუთრების უფლების გადმოსვლით ან დამზღვევის მიერ ავტოტრანსპორტის რეალიზაციის შემთხვევაში, ფულადი ფორმით თანხის მიღების გზით, ამასთან, ავტოტრანსპორტის რეალიზაციასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს დამზღვევი წინასაწრ ათანხმებს მზღვეველთან. დამზღვევის მიერ წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობა ათავისუფლებს მზღვეველს სადაზღვევო ანაზღაურების გადახდისაგან, ხოლო თუ ასეთი ანაზღაურება უკვე გაცემულია, მზღვეველს ანიჭებს გაცემული თანხის უკან მოთხოვნის უფლებამოსილებას;

5.4.10. არ აანაზღაუროს ზარალი დამზღვევის მიერ წინამდებარე პირობებითა და შესაბამისი სადაზღვევო პოლისით დადგენილი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში;

5.4.11. არ აანაზღაუროს წარმოშობილი ზიანის ოდენობაზე მეტი თანხა იმ შემთხვევაშიც კი, თუ სადაზღვევო თანხა სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტისათვის აღემატება სადაზღვევო ღირებულებას;

5.4.12. დამზღვევთან დამატებითი შეთანხმების გარეშე, შესაბამისი დაწესებულებებიდან ან სხვა მესამე პირებისგან მიიღოს დამდგარ სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებული ინფორმაცია საგზაო მოძრაობის და საგზაო–საპტრანსპორტო შემთხვევების სფეროში ჩადენილი სამართალდარღვევის შესახებ; ასევე, გამოითხოვოს ნებისმიერი სამედიცინო დაწესებულებიდან სადაზღვევო ანაზღაურების გასაცემად საჭირო სამედიცინო და ფინანსური დოკუმენტაცია.

6. ზიანის ოდენობის განსაზღვრა და სადაზღვევო ანაზღაურების გაცემა

6.1. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას დამზღვევი (ნებისმიერი უფლებამოსილი პირი) განახორციელებს შეტყობინებას წინამდებარე ხელშეკრულების 5.1.5. პუნქტის შესაბამისად.

6.2. კომპანიის საინფორმაციო სამსახურთან დაკავშირების შემდეგ, შემთხვევის ადგილზე უნდა გამოცხადდეს მზღვეველის წარმომადგენლი, თუ კი ეს გარკვეული მიზეზების გამო შეუძლებელია ან გამოცხადებისათვის საჭიროა 1 საათი ან მეტი, მაშინ დამზღვევი უფლებამოსილია არ დაელოდოს კომპანიის წარმომადგენლის გამოცხადებას და გადაიყვანოს დაზღვეული დაზიანებული სატრანსპორტო საშუალება შემთხვევის ადგილიდან.

6.3. ზიანის ანაზღაურებაზე გადაწყვეტილების მიღებისათვის დამზღვევი მზღვეველს სადაზღვევო შემთხვევის დადგომიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში წარუდგენს ხელშეკრულების 5.1.5. პუნქტით გათვალისწინებულ დოკუმენტაციას.

6.4. მესამე პირის წინაშე პასუხისმგებლობის დადგომის შემთხვევაში, მზღვეველი ვალდებულია დაუკავშირდეს დაზარალებულ მესამე პირს და მოითხოვოს ზიანის ანაზღაურებისათვის აუცილებელი დოკუმენტაცია.

6.5. ნაწილობრივი დაზიანების შემთხვევაში მოქმედებს სადაზღვევო ანაზღაურების განხორციელების შემდეგი წესი: სადაზღვევო შემთხვევის დადასტურების შემდგომ და

წინამდებარე პირობების შესაბამისად, მზღვეველი და დამზღვევი თანხმდებიან, რომ ზარალის შეფასება ხდება დამზღვევის არჩეული პროვაიდერი საწარმოს მიერ. იმ შემთხვევაში, თუ მზღვეველი არ დაეთანხმება წარმოდგენილ ხარჯთაღრიცხვას, იგი, თავისი უფლებამოსილი ექსპერტის მეშვეობით განახორციელებს ხარჯების ობიექტურ კორექტირებას არსებით გარემოებათა გათვალისწინებით;

6.6. ზარალის შეფასების აქტის (ხარჯთაღრიცხვის) შედგენის შემდეგ დგება სადაზღვევო შემთხვევის აქტი, რომლითაც მხარეები თანხმდებიან სადაზღვევო ანაზღაურების საბოლოო მოცულობაზე, რის შემდეგაც ანაზღაურების თანხა, წინამდებარე პირობებით დადგენილ ვადებში, გადაირიცხება დამზღვევის (მოსარგებლის) მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშებზე;

6.7. იმ შემთხვევაში, თუ მზღვეველი და დამზღვევი ვერ შეთანხმდნენ ზარალის საბოლოო ოდენობაზე, ზარალის შეფასება მოხდება დამოუკიდებელი ექსპერტის მეშვეობით. ამასთან, ზარალის შეფასებაზე გასაწევი ხარჯების რეგულირების საკითხი განისაზღვრება შემდეგნაირად:

6.7.1. იმ შემთხვევაში, თუ შეფასება (ექსპერტიზა) ტარდება მზღვეველის სურვილითა და ინიციატივით, ასეთ შეფასებაზე (ექსპერტიზაზე) გასაწევ ხარჯებს ფარავს მზღვეველი;

6.7.2. იმ შემთხვევაში, თუ შეფასება (ექსპერტიზა) ტარდება დამზღვევის სურვილითა და ინიციატივით, ასეთ შეფასებაზე (ექსპერტიზაზე) გასაწევ ხარჯებს ფარავს დამზღვევი;

6.7.3. იმ შემთხვევაში, თუ შეფასება (ექსპერტიზა) ტარდება მზღვეველისა და დამზღვევის ერთობლივი გადაწყვეტილებითა და ინიციატივით, ასეთ შეფასებაზე (ექსპერტიზაზე) გასაწევი ხარჯები თანაბრად ნაწილდება მზღვეველსა და დამზღვევს შორის.

6.8. ავტოტრანსპორტის სრული განადგურების ან ქურდობა/გატაცების შემთხვევაში, მზღვეველი, მხარეთა შეთანხმებით, სადაზღვევო თანხის ფარგლებში, აუნაზღაურებს დამზღვევს/მოსარგებლეს დაზღვეული ავტოტრანსპორტის აღდგენით ან შენაცვლებით ღირებულებას წინამდებარე პირობებით დადგენილი წესით, კერძოდ: სადაზღვევო ანაზღაურება შესაძლოა განხორციელდეს:

6.8.1. მზღვეველი გადაიხდის თანხას არაუმეტეს დაზღვეული ავტოტრანსპორტის საბალანსო ღირებულებისა;

6.8.2. მზღვეველი დამზღვევის სასარგებლოდ შეიძენს განაცხადში მითითებული მარკის, მოდელისა და სხვა მახასიათებლების შესაბამის ავტოტრანსპორტს.

6.9. თუ სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტისათვის აღმოჩნდება, რომ სადაზღვევო თანხა ნაკლებია დაზღვეული ავტოტრანსპორტის სადაზღვევო ღირებულებაზე (საბაზრო ღირებულებაზე) სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტისათვის, მაშინ, მზღვეველი ანაზღაურებს ზიანს სადაზღვევო თანხისა და სადაზღვევო ღირებულების (საბაზრო ღირებულების) შეფარდების შესაბამისად.

6.10. თუ უბედური შემთხვევა გამოწვეულია დაზღვეული ავტოტრანსპორტით, რამაც, თავის მხრივ, გამოიწვია მესამე პირის გარდაცვალება, სხეულის დაზიანება ან რაიმე სახის ქონებრივი ზარალი, მაშინ, მზღვეველი აუნაზღაურებს წინამდებარე პირობებით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობის ხარჯებს იმ პირს (ან მის სრულუფლებიან კანონიერ წარმომადგენელს), რომელსაც ეხება დაზღვევა წინამდებარე პირობების მიხედვით სადაზღვევო ლიმიტის ფარგლებში.

6.11. სადაზღვევო შემთხვევის დადგომის დადასტურების შემთხვევაში, სადაზღვევო თანხის ფარგლებში, წინამდებარე პირობების გათვალისწინებითა და მხარეთა შორის წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, ანაზღაურებას ასევე ექვემდებარება:

6.11.1. დაზარალებული მესამე პირების სიცოცხლის და/ან ქონების გადასარჩენად ან ზიანის შესამცირებლად გაწეული ხარჯები;

6.11.2. მესამე პირის პრეტენზიებთან დაკავშირებული სასამართლო ან სასამართლოს გარეშე პრეტენზიის განხილვის ხარჯები, აგრეთვე სადაზღვევო შემთხვევის დადგომის გარემოებებისა და ზარალის ოდენობის დადგენის ხარჯები, თუ ისინი წერილობით იყო მზღვეველთან შეთანხმებული;

6.11.3. დაზარალებული პირისათვის კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე გადასახდელი კომპენსაცია;

6.11.4. სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე მესამე პირი(ებ)სათვით მიყენებული ზიანის კომპენსაცია, თუ ამგვარი კომპენსაციის ოდენობა წერილობითი გზით შეთანხმებულია მზღვეველთან და თუ დაზარალებული წერილობით დაადასტურებს, რომ მას არ გააჩნია არავითარი პრეტენზია სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებით;

6.12. სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე კომპენსაციის ოდენობა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს პოლისით განსაზღვრულ სადაზღვევო ლიმიტს, გამოანგარიშდება შემდეგი წესით:

6.12.1. მესამე პირის გარდაცვალების ან ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის შემთხვევაში - მიყენებული მატერიალური ზიანის ოდენობა:

ა. ხელფასი (შემოსავალი), რომელიც დაზარალებულმა დაკარგა, თუ იგი ნაწილობრივ ან სრულად შრომისუუნარო შეიქმნა;

ბ. დამატებითი ხარჯები, რომლებიც გამოწვეულია ჯანმრთელობის დაზიანებით, მათ შორის მკურნალობის, დამატებითი კვების, მედიკამენტების, პროტეზირების, ზედამხედველობისა და მოვლის, სპეციალური სატრანსპორტო საშუალების შეძენის, პროფესიული გადამზადების ხარჯები, თუ დადგენილია, რომ დაზარალებულს ესაჭიროება აღნიშნული ტიპის დახმარება და არ აქვს მათი უფასოდ მიღების უფლება;

გ. ხელფასის (შემოსავლის) ნაწილი, რომელსაც დაზარალებულის გარდაცვალების შემთხვევაში დაკარგავენ შრომისუუნარო პირები, რომლებიც დაზარალებულის კმაყოფაზე იმყოფებოდნენ ან უფლება ჰქონდათ მიეღოთ მისგან სარჩო (რეგულარული გადახდების სახით);

6.13. თუ მესამე პირ(ებ)ს ქონებრივი ზიანი მიადგება, სადაზღვევო ლიმიტის ფარგლებში, ანაზღაურებას ექვემდებარება:

6.13.1. ქონების სრული განადგურების შემთხვევაში – დაკარგული ქონების საბაზრო ან აღდგენითი ღირებულების ოდენობა, ხელყოფილი ქონების სპეციფიკის გათვალისწინებით, გაუფასურებისა და დარჩენილი დეტალების, რომელთა გამოყენებაც კიდევ შესაძლებელია, ღირებულების გამოქვითვით;

6.13.2. ქონების ნაწილობრივი დაზიანების შემთხვევაში – დაზიანებამდე არსებულ მდგომარეობამდე მისაყვანად საჭირო შეკეთების ხარჯებს;

6.14. მძღოლისა და მგზავრის უბედური შემთხვევისაგან დაზღვევის პირობების შესაბამისად ანაზღაურებას ექვემდებარება მატერიალური ზიანი, რომელიც გამოწვეულია ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დაზღვეული ავტოტრანსპორტის ექსპუატაციისას უფლებამოსილი მძღოლის და/ან მისი მგზავრის ჯამრთელობის დაზიანებით/გარდაცვალებით;

6.15. მზღვეველი აუნაზღაურებს შესაბამისი სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებულ სადაზღვევო ანაზღაურებას იმ პირს(ან მის სრულუფლებიან კანონიერ წარმომადგენელს), რომელსაც ეხება დაზღვევა ამ პირობების მიხედვით.

6.16. სადაზღვევო შემთხვევით გამოწვეული რამოდენიმე ადამიანის სხეულის დაზიანების ან გარდაცვალების, ასევე, მესამე პირთა ქონების ხელყოფის შემთხვევაში, თუ მთლიანი ზარალის ოდენობა აღემატება ერთი სადაზღვევო შემთხვევისათვის გათვალისწინებულ პასუხისმგებლობის ლიმიტს, ანაზღაურება თითოეული დაზარალებულისათვის შემცირდება მიყენებული ზიანის საერთო ოდენობაში პასუხისმგებლობის ლიმიტის წილის გათვალისწინებით.

6.17. სადაზღვევო პოლისში სხვა ქვე-ლიმიტის არსებობის შემთხვევაში, ანაზღაურების ოდენობა იზღუდება ამგვარი ქვე-ლიმიტის გათვალისწინებით;

6.18. ერთი შემთხვევით გამოწვეული დანაკარგი განხილული იქნება ერთ სადაზღვევო შემთხვევად. არავის აქვს უფლება, ორჯერ მიიღოს ანაზღაურება წინამდებარე დაზღვევის თანახმად, ერთი და იგივე ზიანისთვის ან ზიანის რომელიმე ელემენტისათვის;

6.19. მესამე პირ(ებ)ისადმი მიყენებული ზარალის ასანაზღაურებელი მთლიანი თანხა, შემთხვევების რაოდენობის მიუხედავად, არ შეიძლება აღემატებოდეს პოლისით ამ დაფარვისათვის გათვალისწინებულ სადაზღვევო თანხას; მზღვეველის მიერ ზარალის ანაზღაურება ხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი პირობებითა და წესით ანაზღაურებისათვის აუცილებელი ყველა საჭირო დოკუმენტაციის საფუძველზე შედგენილი სადაზღვევო შემთხვევის აქტის მხარეთა მიერ ხელმოწერიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

6.20. მზღვეველმა უნდა მოახდინოს სადაზღვევო ანაზღაურების გაცემა წინამდებარე პირობებით დადგენილი წესით ანაზღაურებისავის აუცილებელი ყველა საჭირო დოკუმენტის მიღების საფუძველზე შედგენილი სადაზღვევო შემთხვევის აქტის მხარეთა მიერ ხელმოწერიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

6.21. თუ დამზღვევსა (დაზღვეულს) და დაზარალებულს შორის მიმდინარეობს დავა მომხდარი შემთხვევის გამო, მზღვეველი აანაზღაურებს ზარალს - სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების (დაზღვეულის /უფლებამოსილი მძღოლის/ მიერ მესამე პირისათვის (პირებისათვის) მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე) მზღვეველისათვის წარდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში, თუ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით სხვა ვადა არ არის განსაზღვრული.

7. გამონაკლისები

მზღვეველი არ არის პასუხისმგებელი:

7.1. შემთხვევაზე, რომელიც შედეგად მოჰყვა გასაღების ავტომობილში დატოვებას, შუშების ჩაწეულ მდგომარეობაში ან კარების ღიად დატოვებას;

7.2. ცვეთაზე, კოროზიაზე, დაჟანგვაზე, თანდაყოლილ დეფექტზე, შეუსაბამო დიზაინზე, დეფექტური მასალების გამოყენებაზე და სხვა ბუნებრივ თვისებებზე, შეკეთებაზე ან შენაცვლებული ნაწილის იმ ღირებულებაზე, რომელიც მოხმარდა დაზღვეული ავტოტრანსპორტის სადაზღვევო შემთხვევის დადგომამდე არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებას;

7.3. დაზღვეული ავტოტრანსპორტის ტექნიკური მომსახურებისა და საგარანტიო შეკეთების ხარჯებზე;

7.4. უშუალოდ დაზღვეული ავტოტრანსპორტის საბურავებზე მიყენებულ დაზიანებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, თუ საბურავების ასეთი დაზიანება, თავის მხრივ, გამოწვეული არის იმ სადაზღვევო შემთხვევის დადგომით, რომლის გამოც, დამზღვევი (დაზღვეული) უფლებამოსილია, მიიღოს სადაზღვევო ანაზღაურება ავტომანქანის ნაწილობრივი და სრული განადგურების რისკზე;

7.5. წინამდებარე პირობებსა და სადაზღვევო პოლისში აღნიშნულის გარდა რომელიმე სხვა რისკზე;

7.6. შემთხვევაზე 21 წელზე ახალგაზრდა მძღოლის ან/და მართვის უფლებამოსილების არ მქონე მძღოლის მიერ ავტოტრანსპორტის მართვისას;

7.7. შემთხვევებზე ავტოტრანსპორტის აეროდრომის ან აეროპორტის ტერიტორიაზე მართვისას, გარდა სპეციალურ ავტოსადგომებზე მომხდარი შემთხვევებისა;

7.8. შემთხვევაზე, რომელიც მოხდა ავტოტრანსპორტის მძღოლის ალკოჰოლური ან ნარკოტიკული (ფსიქოტროპული) ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ ყოფნის დროს (გარდა იმ შემთხვევისა თუ დადგინდა, რომ ზარალი დაზღვეული ავტომაქნანის უფლებამოსილი მძღოლის მიზეზით/ბრალით კი არ დადგა, არამედ სხვა მესამე პირის მიზეზით/ბრალით);

7.9. შემთხვევებზე, რომელიც გამოწვეულია:

7.9.1. იონიზირებული რადიაციით, ბირთვული ან სხვა სახის მავნე ნარჩენებიდან მიღებული რადიაციით და დაბინძურებით;

7.9.2. რადიოაქტიური, ფეთქებადი, ბირთვული ნივთიერების შემცველი აირის ბუნებრივი მდგომარეობის ცვლილებით;

7.10. შემთხვევებზე, როდესაც დაზღვეული დაზიანებული სატრანსპორტო საშუალების აღდგენითსარემონტო სამუშაოებს განახორციელებს მზღვეველთან შეუთანხმებლად;

7.11. გაჩერებული დაზღვეული ავტოტრანსპორტის დაუდგენელი პირის მიერ ან დაუდგენელ ვითარებაში დაზიანების/განადგურების შემთხვევებში, ფაქტის ამოღმოჩენიდან 24 საათში თუ არ მოხდება მზღვეველთან და საპატრულო პოლიციასთან დაუყოვნებლივი დაკავშირება;

7.12. თუ ადგილი ჰქონდა ორმაგ დაზღვევას, მაგრამ დამზღვევს ასეთი ორმაგი დაზღვევის შესახებ მზღვეველისათვის ინფორმაცია არ წარუდგენია წერილობითი ფორმით.

7.13. გარემოებებზე, რომელიც ზრდის სადაზღვევო რისკის დადგომის ალბათობას, ცნობილია დამზღვევის ან მისი წარმომადგენლისათვის და ამის შესახებ მან არ აცნობა მზღვეველს წერილობითი ფორმით ან მზღვეველს მიეწოდა ყალბი ინფორმაცია (დოკუმენტაცია).

7.14. დამზღვევის ან მისი წარმომადგენლის განზრახ ან სისხლის სამართლის კანონმდებლობით განსაზღვრულ განზრახ მართლსაწინააღმდეგო ქმედებებზე;

7.15. მზღვეველი არ არის პასუხისმგებელი, ასევე, პასუხისმგებლობაზე, რომელიც წარმოშობილია ნებისმიერი სხვა კონტრაქტის ან შეთანხმების საფუძველზე, გარდა წინამდებარე დაზღვევის ხელშეკრულებისა.

7.16. მზღვეველი არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერი ქონებისათვის მიყენებულ ზიანზე, რომელიც წარმოადგენს უფლებამოსილი მძღოლის საკუთრებას, მინდობილი საკუთრების სახით ინახება მასთან, გადაიზიდება დაზღვეული ავტოტრანსპორტით ან დაზღვეულ ავტოტრანსპორტზე მიმაგრებული ნებისმიერი მისაბმელით.

7.17. შემთხვევებზე, როდესაც დაზღვეული მესამე პირის წინაშე თავის ვალდებულებებს აღიარებს მზღვეველის წერილობითი თანხმობის გარეშე.

8. სუბროგაციის წესი

8.1. თუ დამზღვევს შეუძლია ზიანის ანაზღაურების თაობაზე მოთხოვნა წაუყენოს მესამე პირს, მაშინ ეს მოთხოვნა (გარდა დაზღვეული ავტოტრანსპორტის მძღოლისა და მგზავრების მიმართ არსებული მოთხოვნისა) გადადის მზღვეველზე, თუკი ის უნაზღაურებს დამზღვევს ზიანს. თუ დამზღვევი უარს იტყვის მესამე პირის (გარდა დაზღვეული ავტოტრანსპორტის მძღოლისა და მგზავრებისა) მიმართ თავის მოთხოვნაზე ან მისი

მოთხოვნის უზრუნველყოფის უფლებაზე, მაშინ მზღვეველი თავისუფლდება ზიანის იმ ოდენობით ანაზღაურების მოვალეობისაგან, რამდენიც მას შეეძლო მიეღო თავისი ხარჯების ასანაზღაურებლად უფლების განხორციელებასთან ან მოთხოვნის წაყენებასთან დაკავშირებით.

8.2. დამზღვევი (მოსარგებლე) ვალდებულია ხელი შეუწყოს და გადასცეს მზღვეველს ყველა მასთან არსებული შესაბამისი დოკუმენტი და ხელი არ შეუშალოს მზღვეველს 8.1. პუნტით განსაზღვრული უფლების რეალიზებაში.

8.3. დამზღვევის/მოსარგებლის მიერ წინამდებარე მუხლით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში მზღვეველს უფლება აქვს უარი თქვას სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე ან მოითხოვოს გაცემული თანხის უკან დაბრუნება.

9. დაზღვევის შეწყვეტა

9.1. წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული დაზღვევის შეწყვეტის საფუძველი შეიძლება გახდეს: 9.1.1. მზღვეველის მიერ შესაბამისი სადაზღვევო პოლისის მიხედვით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულება;

9.1.2 მეორე მხარის მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შეუსრულებლობა;

9.1.3 შესაბამისი პოლისით გათვალისწინებული ვადის გასვლა;

9.1.4 თუ დაზღვევის საგანი აღარ არსებობს, გარდა სადაზღვევო რისკით გამოწვეული შედეგებისა (აღნიშნული ვრცელდება კონკრეტულ სადაზღვევო პოლისთან მიმართებაში);

9.1.5 თუ დამზღვევი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით წყვეტს საქმიანობას;

9.1.6 ამოიწურა სადაზღვევო თანხით განსაზღვრული სადაზღვევო ანაზღაურების ლიმიტი (აღნიშნული ვრცელდება კონკრეტულ სადაზღვევო პოლისთან მიმართებაში).

9.1.7 თუ სადაზღვევო რისკის ზრდა დამზღვევის, მისი წარმომადგენლის ან დამზღვევის სახელით მოქმედი ნებისმიერი პირის მიერ განზრახ არის გამოწვეული;

9.1.8 მხარეთა წინასწარი წერილობითი შეთანხმება; საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

9.2. დამზღვევის მიერ სადაზღვევო პოლისის გაუქმების შემთხვევაში იგი ვალდებულია გაუგზავნოს მზღვეველს წერილობითი შეტყობინება მის იურიდიულ მისამართზე 10 დღიანი ვადის დაცვით. დამზღვევს, მისი წერილობითი განცხადების საფუძველზე, დაუბრუნდება გამოუმუშავებელი სადაზღვევო პრემია პროპორციულად.

9.3. ამასთან, დაზღვევის შეწყვეტისას მზღვეველის მიერ პოლისის მოქმედების პერიოდში კონკრეტულ სატრანსპორტო საშუალებასთან მიმართებაში ნებისმიერი ზარალის ანაზღაურების შემთხვევაში, გამოუმუშავებელი პრემია ასეთ სატრანსპორტო საშუალებასთან მიმართებაში დაბრუნებას არ ექვემდებარება.

10. ფორს-მაჟორი

10.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხიმგებლობებისგან, თუ ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (ომი, ეპიდემია, საზოგადოებრივი არეულობა, ცვლილებები კანონმდებლობაში და ა.შ.) ზეგავლენით, რომლის წინასწარ განსაზღვრა ან თავიდან აცილება მხარეების შესაძლებლობას აღემატებოდა. დაუძლეველი

ძალით გამოწვეული მოვლენები ეწოდება მოვლენას, რომლის წარმოშობასა და განვითარებაზე მხარეებს ზეგავლენის მოხდენა არ შეუძლიათ (ფორს-მაჟორი).

10.2. მხარე, რომელსაც მიზეზად დაუძლეველი ძალის მოვლენები მოჰყავს, ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს მეორე მხარეს წერილობით ასეთი მოვლენების დადგომის თაობაზე. ამასთან, მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, უნდა წარმოადგინოს დაუძლეველი ძალის მოვლენების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ ამ მოვლენამ არსებითად ხელი შეუშალა მხარეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებაში.

11. პასუხიმგებლობა

11.1. ხელშეკრულების ნებისმიერი პირობის შეუსრულებლობის და/ან არაჯეროვნად შესრულებისათვის, დამრღვევი მხარე ვალდებულია მეორე მხარის მოთხოვნისთანავე გადაუხადოს მას პირგასამტეხლოს სახით ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.3% არაუგვიანეს 14 საბანკო დღეში და უზრუნველყოს დარღვეული უფლების დაუყონებლივ გამოსწორება.

12. ინსპექტირება

12.1. დამზღვევს ან მის მიერ შერჩეულ პირს უფლება აქვს წინამდებარე ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ინსპექტირება მზღვეველის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობაზე.

12.2. ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში დამზღვევი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მზღვეველის მიერ გაწეული მომსახურების ხარისხის ინსპექტირება, შესაბამისად მზღვეველი მხარე ვალდებულია ხელი შეუწყოს დამზღვევს ინსპექტირების განხორციელების დროს.

13. სხვა პირობები

13.1. ხელშეკრულება ძალაში შედის 2019 წლის 01 მაისიდან და მოქმედებს 2019 წლის 1 ივლისამდე. სადაზღვევო პერიოდია 2019 წლის 1 მაისიდან 2019 წლის 01 ივნისამდე პერიოდი.

13.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სადაზღვევო მომსახურების განხორციელებლის ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 (ორი) კალენდარული თვის განმავლობაში.

13.3. ნებისმიერი გადახრა ან ცვლილება აღნიშნული ხელშეკრულების პირობებში დაიშვება მხოლოდ ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების საფუძველზე.

13.4. იმ შემთხვევაში, თუ მომსახურების გაწევის დროს ამ ხელშეკრულების ღირებულებისა და ანგარიშწორებიდან გამომდინარე, ან რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, მათ შორის ფასების გადასინჯვის შესაძლებლობა, ასეთი ცვლილებები დასაშვებია ხელშეკრულების საერთო შინაარსის ფარგლებში და ცლილებების შეტანის ინიციატორი მხარე ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი დასაბუთებული ინფორმაცია.

13.5. ნებისმიერ ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. საქართველოს სამოქალაქო 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში

დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

13.6. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

13.7. მხარეთა შორის წარმოშობილი სადავო საკითხები წყდება ურთიერთშეთანხმებითა და მოლაპარაკებების გზით; იმ შემთხვევაში, თუ შეთანხმება არ იქნება მიღწეული უთანხმოების წარმოშობიდან 30 დღის განმავლობაში, დავა გადაწყდება სასამართლოს მეშვეობით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13.8. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომლებიც ინახება ხელშეკრულების მხარეებთან.

მუხლი 14 მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

„მზღვეველი“

სს „სადაზღვევო კომპანია ალფა“

მის: ქ. თბილსის, ალ. ყაზბეგის გამზ N16
ს/კ: 204568896
ბანკი: ს.ს. ”საქართველოს ბანკი”
ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ა: GE72BG0000000606253200GEL

გენერალური დირექტორი

_____

კახაბერ დიასამიძე

,,დამზღვევი“

ა(ა)იპ „თბილისის მუნიციპალური თავშესაფარი“

საიდ. კოდი: 406153111
მისამართი: ქ. თბილისი, სოფელი დიდი ლილო
საბანკო რეკვიზიტები; ქ. თბილისი ,,სახელმწიფო ხაზინა”, ბანკის კოდი: TRESGE22
ა/ნ GE24NB0330100200165022
საკონტაქტო ტელეფონის ნომერი: 577902535
საკონტაქტო ელ. ფოსტა: zinasaridze0274@gmail.com

დირექტორი

_____

გოჩა მინდიაშვილი

TBILISI MUNICIPAL ASYLUM

Digitally signed by TBILISI MUNICIPAL ASYLUM
DN: cn=TBILISI MUNICIPAL ASYLUM, 2.5.4.97=NTRGE-406153111, o=TBILISI MUNICIPAL ASYLUM, c=GE
Date: 2019.04.30 17:04:06 +04'00'

დანართი N1
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაზე №————————

№	ავტოტრანსპორტის მარკა და მოდელი	სახელმწიფო ნომერი	გამოშვების წელი	საიდენტიფიკაციო კოდი	საბალანსო ღირებულება	მესამე პირთა წინაშე პასუხისმგებლობის დაზღვევის წლიური ლიმიტი (ლარი)	მესამე პირთა წინაშე პასუხისმგებლობის დაზღვევის წლიური პრემია (ლარი)	მძღოლის და მგზავრების ყოველი შემთხვევისაგან დაზღვევის წლიური ლიმიტი (ლარი)	მძღოლის და მგზავრების ყოველი შემთხვევის წლიური პრემია (ლარი)	1 თვის პრემია (ლარი)
1	HYUNDAI i20	TW098WT	2012	MALBA51CAEM585391	5235.16	26627	23	26627	9	68.65
2	FORD FIESTA	BU767BB	2017	WF0DXXGAKDHM63009	16999.63	26627	23	26627	9	151

„მზღვეველი“

სს „სადაზღვევო კომპანია ალფა“

მის: ქ. თბილსის, ალ. ყაზბეგის გამზ N16
ს/კ: 204568896
ბანკი: ს.ს. ”საქართველოს ბანკი”
ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ა: GE72BG0000000606253200GEL

გენერალური დირექტორი

_____

კახაბერ დიასამიძე

,,დამზღვევი“

ა(ა)იპ „თბილისის მუნიციპალური თავშესაფარი“
საიდ. კოდი: 406153111
მისამართი: ქ. თბილისი, სოფელი დიდი ლილო
საბანკო რეკვიზიტები; ქ. თბილისი ,,სახელმწიფო ხაზინა”, ბანკის კოდი: TRESGE22
ა/ნ GE24NB0330100200165022
საკონტაქტო ტელეფონის ნომერი: 577902535
საკონტაქტო ელ. ფოსტა: zinasaridze0274@gmail.com

დირექტორი

_____

გოჩა მინდიაშვილი